ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №2

2021 წლის 5 თებერვალი

ქ. ლაგოდეხი

## „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2021 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

შეტანილი იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2021 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N35 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 29/12/2020, 010250050.35.167.016493).

**მუხლი 2**

1. „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2021 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N35 დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“

2. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი #2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

| პროგრამული კოდი | დასახელება | | 2021 წლის პროექტი (ათ.ლარი) | |
|---|---|---|---|---|
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | | 872,3 | |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | | 128.0 | |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | | | |
| 06 02 | სოციალური დაცვა | | 744,3 | |
| 06 02 01 | ჰემოდიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა | ჰემოდიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ტრანსპორტირების ხარჯის თანადაფინანსება | 30.0 | ყოველთვიურად |
| | | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება | | წელიწადში ერთხელ და ახალ წელს ერთჯერადად. |
| | | ტყუპი შვილის შეძენისას | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06 02 02 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | ოჯახების დახმარება | 152.0 | წელიწადში ერთხელ |
| | | ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახის დახმარება | | დაბადებიდან 6 თვის ვადაში |
| | | უდედმამო ბავშვთა ოჯახი | | ყოველთვიურად |
| | | ობოლი და მარჩენალ დაკარგული ბავშვთა ოჯახი რომელსაც ჰყავს ერთი და მეტი არასრულწლოვანი შვილი. | | პროგრამის შესაბამისად, |
| | | მარტოხელა მშობელი, რომელსაც ჰყავს ერთი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი | | პროგრამის შესაბამისად, |
| | | ახალშობილთა სასაჩუქრე კალათი | | პროგრამის შესაბამისად |
| 06 02 03 | სამედიცინო კვლევების, სტაციონალური მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა. | სამედიცინო კვლევებისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება. | 244.0 | პროგრამის შესაბამისად<br><br>წელიწადში ერთხელ. |
| | | ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნეების) დაავადების მქონე პაციენტების მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების თანადაფინანსება. | | პროგრამის შესაბამისად<br><br>წელიწადში ერთხელ. |
| | | იშვიათი, თანდაყოლილი, მძიმე დაავადების მქონე 18 წლამდე პაციენტები. | | პროგრამის შესაბამისად<br><br>წელიწადში ერთხელ. |
| 06 02 04 | უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსებისპროგრამა | | 48.0 | |
| 06 02 05 | სტუდენტების დახმარების პროგრამა | მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების დახმარება | 17.0 | პროგრამის შესაბამისად<br><br>წელიწადში ერთხელ. |
| | | დედით და მამით ობოლი 18 -დან 25 წლამდე სსტუდენტების დახმარება | | პროგრამის შესაბამისად<br><br>წელიწადში ერთხელ. |
| | | მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტების დახმარება | | პროგრამის შესაბამისად<br><br>წელიწადში ერთხელ. |
| 06 02 06 | მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | | 118.0 | ბიუჯეტის გეგმის შესაბამისად |
| 02 06 07 | იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) დახმარების პროგრამა | | 13.0 | პროგრამის შესაბამისად |
| 02 06 08 | ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა | | 5.0 | პროგრამის შესაბამისად |
| | მძიმე საცხოვრებელ | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 02 06 09 | პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა | | 30.0 | პროგრამის შესაბამისად |
| 02 06 10 | უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება. | | 40.0 | პროგრამის შესაბამისად |
| 06 02 11 | 100 და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა | | 2.0 | პროგრამის შესაბამისად |
| 06 02 12 | სარიტუალო ხარჯი | სამშობლოს დასაცავად მებრძოლთა ოჯახებისა და ვეტერანების ინტერესების დაცვა | 5.0 | პროგრამის შესაბამისად |
| | | უკიდურესად გაჭირვებული ოჯახის წევრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით,ფულადი დახმარება (სარიტუალო ხარჯებისათვის) | | პროგრამის შესაბამისად |
| 06 02 13 | შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე (პირველი ჯგუფი) პირთა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წლამდე ასაკის) დახმარების პროგრამა; | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება | 40.3 | პროგრამის შესაბამისად |
| | | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ოჯახზე რომელსაც ჰყავს ერთი არასრულწლოვანი შვილი 18 წლამდე. საახალწლოდ ბავშვებისათვის ტკბილეულის პაკეტების შეძენა | | პროგრამის შესაბამისად |
| | | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და მიტოვების რისკს მიღმა მყოფ პირთა ფუნქციური უნარების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი და საგანმანათლებლო ცნობიერების ამაღლება, სოციალური ინტეგრაციის და ინკლუზიის ხელშეწყობა. ბაცშვთა ადრეული განვითარების ცენტრის დაფინანსება. | | პროგრამის შესაბამისად |
| | | უსინათლოთა დახმარება | | პროგრამის შესაბამისად |

**მუხლი 3**

დადგენილება ძალაშია  გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია